

რედაქტორისგან

ამერიკელი მწერლის, ედუარდ ევერეტ ჰეილის (1822-1909) სახელი ქართველი მკითხველისთვის კიდევ კარგა ხანს „უცნობი დარჩებოდა, რომ არა გაზუთ „ჩვენი მწერლობის“ 2003 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული მოთხოვობა „უსამშობლო კაცი“. მოთხოვობა ინგლისურიდან თარგმნა ჩინებულმა მკვლევარმა, მწერალმა, პუბლიცისტმა და მთარგმნელმა თამაზ ნატროშვილმა. მრავალი რომანის, მოთხოვობის, პამფლეტის, პუბლიცისტური წერილის ავტორის, ედუარდ ჰეილის შემოქმედებიდან ამერიკელმა მკითხველმა „უსამშობლო კაცი“ გამოარჩია და განსაკუთრებით შეიყვარა. პირველად ეს მოთხოვობა 1863 წელს, უერნალ „ატლანტიკ მანსლის“ ფურცლებზე გამოჩნდა და დიდი მოწონება ხვდა წილად. მას მერე „უსამშობლო კაცი“ ცალკე წიგნად არაერთხელ დაიბეჭდა.

უცნობია რომელი ინგლისურენოვანი გამოცემა შეარჩია მთარგმელმა ქართველი მკითხველისთვის ამ არაჩვეულებრივი მოთხოვის გასაცნობად. მრავალი ვერსიიდან, რომელიც ხელთ მქონდა,

1888 წელს დასტამბულ ვარიანტზე შევჩერდი. აღნიშნული, სხვებისგან განსხვავებით, ავტორს წინათქმით შეუვსია, რომელიც ვთარგმნე და, ზოგიერთ აუცილებელ განმარტებასთან ერთად, „უსამშობლო კაცის“ ცალკე წიგნად გამოცემულ ქართულ თარგმანს ვურთავ. „უსამშობლო კაცს“ საქართველოში ბევრი დამფასებული და

გულშემატკივარი გამოუჩნდა. ცნობილმა მკვლევარმა გია არგანაზვილმა საინტერესო წერილი მიუძღვნა მას („ჩვენი მწერლობა“,

2003, №6). იმხანად განსაკუთრებით ახალგაზრდებმა იაქტიურეს.

მათ მიიღეს და შეიყვარეს ამერიკელი მწერლის მოთხოვბა და თავიანთი დამოკიდებულება გმირის უჩვეულო თავგადასავლის მიმართ, პროფესორ რუსუდან ნიშნიანიძის რეკომენდაციით, მშვენიერ სტუდენტურ წერილებში ასახეს. ამ წერილებს დაინტერესებული მკითხველი უკრნალ „ჩვენი მწერლობის“ 2003 წლის ნომრებში გაეცნობა (№50, №51).

„უსამშობლო კაცის“ ამერიკულ გურნალში პირველი გამოჩენიდან 160 წელი გავიდა, ხოლო ქართულ ენაზე პეილის ორიგინალური ლიტერატურული ექსპერიმენტის გასაოცარი ნიმუშის თარგმნიდან – ოცი. ოუმც „უსამშობლო კაცს“ იდეურ-ესთეტიკური ხიბლი და აქტუალობა დღემდე არ დაუბარგავს. ამიტომაც გადაწყდა ედუარდ პეილის მოთხოვბის, „უსამშობლო კაცის“ ქართულ ენაზე ცალკე წიგნად გამოცემა.

ქთევან ტომარაძე